საქართველოს მთავრობის

დადგენილება №421

2021 წლის 20 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტების: „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „თუშეთის დაცული ტერტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტების: „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „თუშეთის დაცული ტერტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვრის №84 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/01/2014, 300160070.10.003.017703) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტექნიკური რეგლამენტების: „მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყაზბეგის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „გარდაბნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ჭაჭუნის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ივრის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „თუშეთის დაცული ტერტორიების ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“, „ერუშეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესისა“ და „პონტოს მუხის

აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“.

2. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ და „შ“ ქვეპუნქტები:

„ყ) „ერუშეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ (დანართი 24);

შ) „პონტოს მუხის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ (დანართი 25).“.

3. დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი 24 და დანართი 25:

„დანართი 24

ტექნიკური რეგლამენტი – ერუშეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

„ერუშეთის ეროვნული პარკის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ (შემდგომში – დროებითი რეგულირების წესი) წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება ერუშეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე და წარმოადგენს ერუშეთის ეროვნული პარკის დაშვებული საქმიანობით განსაზღვრულ და სამენეჯმენტო ქმედებებით დაგეგმილ დროებით სახელმძღვანელო დოკუმენტს.

მუხლი 2. დროებითი რეგულირების წესის რეგულირების სფერო

დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხებს.

მუხლი 3. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნებია:

ა) ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების დაცვის, ამ რესურსების გამოყენების, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება;

ბ) ერუშეთის ეროვნულ პარკში ეკოტურიზმის, ეკოლოგიური განათლების, პარკის ინტერესებიდან გამომდინარე, სამეცნიერო საქმიანობისა და რეკრეაციის სფეროში შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა.

2. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი და სახეშეცვლილი უბნების დაცვასა და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოს ეროვნული პარკის ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა, მოვლა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

დ) ერუშეთის ეროვნული პარკის ფარგლებში უზრუნველყოს მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსა (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

მუხლი 4. ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის მდებარეობა და საერთო ფართობი

1. ერუშეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორია მოიცავს „ერუშეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით – 11 385 ჰა.

მუხლი 5. ერუშეთის ეროვნული პარკის ზონირება

გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობისა და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გათვალისწინებით, ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი ზონები:

ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;

ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა.

მუხლი 6. ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობი, საზღვრები, დაშვებული საქმიანობები და რესურსებით სარგებლობა

1. ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობი შეადგენს 1 858 ჰა-ს და მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	332835,1	4592644	329	317465,1	4596160	657	330737,1	4590739	985	330234,2	4596689
2	332992,2	4592605	330	317371	4596142	658	330695,7	4590837	986	330344,4	4596749
3	336270,7	4594303	331	317344,9	4596239	659	330773,7	4590903	987	336138,7	4597524
4	336302,9	4594491	332	317231,7	4596299	660	330728,9	4590989	988	336049,2	4597318
5	336216,9	4594669	333	317146,9	4596279	661	330803,8	4591078	989	335923,8	4597460
6	336200,8	4594806	334	317075,1	4596321	662	330634,8	4591098	990	335942,2	4597604
7	336348,3	4594688	335	316793,5	4596267	663	330475	4591042	991	317583	4597706

8	336368,1	4594506	336	316705	4596415	664	330359,4	4591131	992	317641,7	4597629
9	336436,7	4594421	337	316799,7	4596618	665	330518,6	4591249	993	317641,1	4597434
10	336474,9	4594271	338	316924,8	4596742	666	330349,5	4591179	994	317682,8	4597241
11	336571,3	4594358	339	316948,4	4596817	667	330366,6	4591258	995	317870,2	4597201
12	336524,2	4594551	340	317105	4596857	668	330527,2	4591334	996	317981,2	4597200
13	336467,9	4594734	341	317218,2	4596803	669	330562,9	4591530	997	317728,5	4597143
14	336485	4594868	342	317338,3	4596854	670	330491,1	4591672	998	317540	4597126
15	336582,8	4594840	343	317585,1	4597158	671	330337	4591590	999	317434	4596958
16	336733,1	4594906	344	317841,2	4597109	672	330190,3	4591461	1000	317326	4596814
17	336852,6	4594947	345	317902,2	4597145	673	330058,9	4591495	1001	317168,5	4596813
18	336958,3	4594974	346	317756,7	4597196	674	329984,6	4591602	1002	316953,7	4596856
19	319169,7	4595270	347	317643,2	4597619	675	329844	4591514	1003	317005,5	4596730
20	336585,3	4595899	348	317627,5	4597724	676	329998,9	4591244	1004	316835,9	4596657
21	336469,6	4595741	349	317341,1	4597725	677	329879	4591254	1005	316691,7	4596491
22	336504,2	4595701	350	317151,6	4597679	678	329775,4	4591270	1006	316738,6	4596322
23	336593,9	4595873	351	316941,4	4597358	679	329641,4	4591374	1007	316908,5	4596282
24	336706,6	4595967	352	316741,9	4597358	680	329675,4	4591659	1008	317094,1	4596300
25	336835,7	4596026	353	330739	4598306	681	329537,8	4591801	1009	317265,6	4596318
26	336960,2	4596032	354	330535,6	4598272	682	329395,8	4591940	1010	317302,3	4596270
27	337036,2	4595936	355	330347,7	4598314	683	329249,8	4592074	1011	317376	4596150
28	336895,7	4595844	356	330149,1	4598332	684	329053,3	4592105	1012	317466,5	4596150
29	336853,2	4595678	357	329952,1	4598341	685	328860,5	4592117	1013	317422,3	4596338
30	336958,2	4595513	358	329790,5	4598441	686	328706,5	4592224	1014	317461,2	4596269
31	337108,4	4595538	359	329659	4598589	687	328806,2	4592506	1015	317628,5	4596504
32	337288,8	4595529	360	329494,6	4598647	688	329277,9	4592850	1016	317868,6	4596517
33	337279,6	4595338	361	329458,4	4598476	689	329236,5	4592742	1017	318121,7	4596692
34	337126	4595243	362	329532,8	4598300	690	329248,4	4592584	1018	318155,7	4596637
35	336991,9	4595100	363	329611,9	4598119	691	329410	4592512	1019	318263,3	4596547
36	336825,3	4595100	364	329779	4598014	692	329577,8	4592605	1020	318210	4596385
37	336734,6	4595259	365	329957,4	4597924	693	329766,7	4592623	1021	318179,6	4596193
38	336709,7	4595457	366	330139,6	4597843	694	329948,4	4592706	1022	318296,3	4596132

39	336724,2	4595655	367	330270,5	4597720	695	330116	4592811	1023	318094,6	4596071
40	336618,8	4595642	368	330368,4	4597561	696	330370,2	4592866	1024	318101,3	4595956
41	336493	4595495	369	330455,1	4597355	697	330367,6	4592681	1025	318127,7	4595779
42	336399,7	4595364	370	330528,9	4597330	698	332566,2	4594447	1026	318205,3	4595799
43	336316,3	4595254	371	330696,6	4597589	699	332777,1	4594444	1027	318406,4	4595967
44	336270,1	4595166	372	330752,5	4597765	700	332914,7	4594302	1028	318534,3	4596186
45	336204,5	4594984	373	330653,6	4597932	701	333088,3	4594246	1029	318553,3	4596113
46	336089,9	4595072	374	330744	4598039	702	333081,9	4594102	1030	318400,6	4595834
47	337365,8	4596438	375	330972,9	4598064	703	333062,5	4593947	1031	318309,8	4595746
48	337293,4	4596539	376	331092	4597995	704	333100,7	4593784	1032	318134,4	4595539
49	337254,6	4596461	377	331217,6	4598051	705	333100	4593594	1033	318013,4	4595404
50	337227,3	4596269	378	331367,1	4598069	706	333151,2	4593401	1034	317930,6	4595542
51	337179,4	4596265	379	331655	4598023	707	333004,9	4592684	1035	317898,9	4595588
52	337173,9	4596457	380	331844,2	4598037	708	333041,9	4593045	1036	317719	4595552
53	337219,5	4596637	381	332035,4	4597994	709	332944,8	4592871	1037	317584,6	4595746
54	337233,1	4596740	382	332194,6	4598002	710	332939,8	4592611	1038	317563,4	4595573
55	337092,5	4596750	383	330099,6	4596056	711	332749,4	4592535	1039	317638,7	4595530
56	337156,8	4596933	384	329973,9	4596190	712	332640,8	4592562	1040	316990,9	4597374
57	337147,7	4597113	385	329975,2	4596360	713	332547,2	4592767	1041	317049,2	4597460
58	337089,3	4597254	386	329877,9	4596503	714	332490,6	4592912	1042	317131,9	4597642
59	337152,7	4597436	387	329775	4596656	715	332560,9	4593130	1043	317298,5	4597723
60	331459,2	4598204	388	329703,3	4596769	716	332519,4	4593314	1044	317498,4	4597729
61	331261,7	4598179	389	329612	4596568	717	332565,6	4593486	1045	336684	4596075
62	331062,6	4598179	390	329725,3	4596462	718	332495,4	4593666	1046	336747,4	4596233
63	334230,3	4596647	391	329707,1	4596419	719	332545,5	4593870	1047	336703	4596297
64	334416,5	4596632	392	329552,4	4596546	720	332634,9	4593769	1048	336531,9	4596305
65	334499,7	4596795	393	329375	4596503	721	332733,5	4593682	1049	336465,9	4596464
66	334542,1	4596858	394	329023,2	4596596	722	332740,5	4593881	1050	336443	4596660
67	334732,4	4596870	395	328783,8	4596622	723	332624,7	4594031	1051	336273,6	4597436
68	334871,1	4597007	396	328559,4	4596512	724	332454,9	4594094	1052	336451,2	4597352
69	335004,6	4597147	397	328682,2	4596501	725	332260	4594075	1053	336549,6	4597473

70	335178,1	4597162	398	328805,7	4596420	726	332062,9	4593988	1054	336591,1	4597623
71	335221,1	4597339	399	327667,6	4595047	727	332065,2	4594159	1055	336660,5	4597735
72	335188,5	4597534	400	327491,9	4595122	728	332143,9	4594339	1056	336805,4	4597605
73	335186,9	4597728	401	327296,6	4595099	729	332230,7	4594496	1057	336889,1	4597622
74	335185,5	4597927	402	327176,9	4595037	730	332402,2	4594573	1058	336844,9	4597800
75	335339,6	4598045	403	326991,3	4595040	731	320743,3	4594671	1059	336942,7	4597746
76	335424,2	4598120	404	326806,3	4594981	732	320663,4	4594285	1060	337068,9	4597594
77	335450,7	4598229	405	326647,1	4594895	733	320556,3	4593980	1061	337183,4	4597468
78	335529,7	4598373	406	326598,8	4594972	734	320506,5	4593934	1062	337088,7	4597301
79	335602,7	4598507	407	326431	4594946	735	320426,3	4593979	1063	337175,2	4597133
80	335775,4	4598534	408	326440,7	4594757	736	320373,8	4594151	1064	337149,5	4596979
81	335964,4	4598564	409	326380,2	4594642	737	320400,9	4594380	1065	337117,6	4596789
82	336834,4	4597852	410	326529	4594657	738	320544	4594742	1066	337197,7	4596710
83	336880	4597676	411	326661,2	4594549	739	320537	4594704	1067	337245,2	4596676
84	336855,5	4597582	412	326719,6	4594473	740	320695,3	4594738	1068	337161,5	4596503
85	336693,4	4597695	413	326861,4	4594493	741	327574,8	4595116	1069	337198,9	4596308
86	336599,9	4597677	414	326964,1	4594631	742	327736,5	4594999	1070	337195,6	4596235
87	336590,5	4597504	415	327076,1	4594499	743	327911	4594907	1071	337257,2	4596415
88	336467,5	4597394	416	327073,8	4594577	744	328094,7	4594835	1072	337296,2	4596586
89	336323,3	4597417	417	327265,3	4594572	745	328291,7	4594810	1073	337364,2	4596418
90	336434,2	4596715	418	327424,1	4594588	746	328487,2	4594837	1074	337441,6	4596243
91	336469,1	4596519	419	327395,4	4594409	747	328678,4	4594844	1075	337428,2	4596050
92	336471,7	4596340	420	327355,2	4594259	748	328761,7	4594769	1076	337378,2	4595867
93	336362,2	4596655	421	327380,2	4594158	749	328954,3	4594742	1077	337310,7	4595708
94	336027,5	4596727	422	327579,1	4594148	750	328958	4594547	1078	337252,3	4595544
95	335953,2	4596768	423	327705	4594212	751	328872,2	4594372	1079	337093,7	4595519
96	335931,7	4596731	424	327646	4594118	752	328837,6	4594287	1080	336926,7	4595537
97	335755,5	4596143	425	327672,7	4593926	753	328930,1	4594126	1081	336845,3	4595714
98	335681,8	4596298	426	327713,3	4593733	754	328774,2	4594084	1082	336935,9	4595840
99	335582,8	4596467	427	327665,5	4593540	755	328788,7	4593935	1083	337061,6	4595964
100	335504,2	4596497	428	327671,1	4593468	756	328793,3	4593780	1084	336922,6	4596047

101	335585,1	4596323	429	327658,4	4593348	757	328694,5	4593608	1085	336802	4596010
102	335445,2	4596357	430	327694,9	4593247	758	328501,8	4593564	1086	336688,6	4595931
103	335323,9	4596513	431	327882,2	4593209	759	328327,9	4593468	1087	329987,7	4598344
104	335356	4596333	432	328040,8	4593098	760	328165,3	4593353	1088	330184,6	4598326
105	335295,2	4596156	433	328114,1	4593276	761	328083,1	4593174	1089	330380,6	4598300
106	335147,2	4596275	434	328250	4593417	762	327963,8	4593165	1090	330569,8	4598283
107	334984,3	4596387	435	328415,7	4593528	763	327781,4	4593243	1091	330763,4	4598300
108	334928,3	4596294	436	328604,4	4593592	764	327624,2	4593262	1092	330991,3	4598278
109	334763,1	4596214	437	328739,6	4593703	765	327692,7	4593448	1093	331169,6	4598168
110	334638,9	4596307	438	328832,4	4593878	766	327623,4	4593457	1094	331307,7	4598179
111	334545,2	4596210	439	328799	4594004	767	327698,7	4593641	1095	331503,3	4598217
112	334383,6	4596298	440	328866,3	4594100	768	327688,5	4593835	1096	331692,2	4598278
113	334260,8	4596454	441	328884,3	4594220	769	327676	4594032	1097	331890,1	4598296
114	336133,2	4597465	442	328934,4	4594302	770	327744,8	4594149	1098	332059,5	4598201
115	336027,6	4597581	443	328931,6	4594459	771	327605,3	4594205	1099	332211,5	4598075
116	335922,9	4597548	444	328965,6	4594653	772	327473,5	4594163	1100	332209,2	4597996
117	335967,9	4597418	445	328855,1	4594766	773	327317,9	4594193	1101	332049,2	4597987
118	336077,1	4597258	446	328716,7	4594817	774	327361,9	4594336	1102	331860	4598036
119	334029,3	4596552	447	329470,8	4596223	775	327415,4	4594499	1103	331670,1	4598018
120	333840,5	4596491	448	329642,4	4596184	776	327356	4594585	1104	331480,4	4598071
121	333732,9	4596370	449	329806	4596161	777	327161,2	4594592	1105	331288,6	4598045
122	333711,9	4596184	450	329894,8	4595996	778	327112,7	4594534	1106	331104,1	4598034
123	333771,3	4596059	451	330022,9	4595966	779	326996,6	4594563	1107	331011,3	4597969
124	333953,7	4595978	452	335107,1	4598171	780	326912,1	4594556	1108	330807,2	4598049
125	334123	4595881	453	335051,4	4597988	781	326777,3	4594468	1109	330732,3	4597997
126	334287,2	4595773	454	334928,3	4597882	782	326733,2	4594554	1110	330749,9	4597781
127	334192,2	4595648	455	334912	4597777	783	326604,9	4594634	1111	330761,8	4597683
128	334112,3	4595498	456	334950,5	4597585	784	326439,3	4594601	1112	330600,9	4597436
129	333969	4595570	457	334883,2	4597397	785	326455,2	4594670	1113	330501,9	4597324
130	333774,9	4595617	458	334984,9	4597281	786	326411,9	4594857	1114	330398,8	4597570
131	333588,3	4595642	459	334824,7	4597191	787	326507,6	4594993	1115	330353,4	4597686

132	333459,5	4595604	460	334667	4597072	788	326571,7	4594884	1116	330207	4597802
133	333407,7	4595701	461	334473,9	4597079	789	326717,6	4594963	1117	330027,3	4597886
134	333274,1	4595716	462	334307,7	4597024	790	326908,1	4595013	1118	329852,3	4597982
135	333190,6	4595575	463	334193,1	4597181	791	327093,4	4595031	1119	329671,8	4598067
136	333318,6	4595466	464	334093,1	4597230	792	327279,9	4595028	1120	329555,4	4598224
137	333447,6	4595379	465	334111,1	4597035	793	327398,8	4595126	1121	329479,6	4598407
138	333462	4595183	466	334064,6	4596846	794	319265,3	4595220	1122	329480,5	4598577
139	333463,1	4594983	467	334121,9	4596656	795	319310,6	4595230	1123	329600,9	4598643
140	333452,8	4594827	468	330165,8	4596615	796	319509,4	4595241	1124	329731,4	4598494
141	333651,1	4594825	469	330264,5	4596443	797	319707,8	4595217	1125	329878	4598359
142	333846,8	4594838	470	330380,6	4596304	798	319628,9	4595042	1126	334093,9	4596748
143	333942,2	4594662	471	330518,4	4596184	799	319574,7	4594919	1127	334077,2	4596941
144	334052,1	4594498	472	330574,6	4596259	800	319705,7	4594846	1128	334084,6	4597127
145	333150,7	4593194	473	330454,7	4596413	801	319849,5	4594834	1129	334144,8	4597272
146	333153,6	4593392	474	330512,6	4596602	802	319642	4594690	1130	334231,5	4597092
147	333162,9	4593281	475	330361,7	4596691	803	319470,1	4594595	1131	334372,7	4597061
148	333072,4	4593711	476	330263,6	4596742	804	319343,7	4594445	1132	334570,3	4597078
149	333128	4593868	477	319101,8	4599206	805	319228,4	4594382	1133	334745,1	4597127
150	333027,2	4594071	478	319300,7	4599196	806	319062,3	4594296	1134	334891,8	4597261
151	333055	4594289	479	319453,1	4599108	807	318952,8	4594393	1135	334947,9	4597356
152	332598,4	4594565	480	319640,9	4599118	808	319110,8	4594548	1136	334915,6	4597489
153	332533	4594476	481	319800,8	4599091	809	319054,3	4594681	1137	334946,3	4597681
154	332366,7	4594577	482	319984,3	4599025	810	318875,8	4594709	1138	334844,5	4597825
155	332150,3	4594426	483	320014,1	4599127	811	318996,6	4594845	1139	335021,5	4597890
156	332132,1	4594308	484	319856	4599158	812	319067,9	4595032	1140	335065,3	4598083
157	332059	4594124	485	319672,8	4599210	813	319070	4595184	1141	335087,2	4598262
158	332106,5	4594034	486	319481	4599216	814	318958,7	4595018	1142	335246	4598383
159	332293,9	4594086	487	319291,9	4599264	815	318821,6	4594918	1143	335388,4	4598523
160	332489,5	4594100	488	319108,8	4599338	816	318685,8	4594915	1144	335530,5	4598663
161	332642,6	4594000	489	318901,3	4599422	817	318715	4595083	1145	335678,6	4598796
162	332739,5	4593846	490	319026,7	4599502	818	318558,6	4595001	1146	335766,4	4598745

163	332726,3	4593650	491	319187,7	4599575	819	318570,6	4595066	1147	335913,7	4598618
164	332614,8	4593799	492	319305,9	4599613	820	318617,2	4595159	1148	335837,2	4598556
165	332474	4593827	493	319255	4599721	821	318419,5	4595146	1149	335656,9	4598536
166	332511,3	4593634	494	319365,1	4599763	822	318310	4595187	1150	335549,1	4598428
167	332551,4	4593454	495	319462,9	4599814	823	318314,5	4595336	1151	335488	4598270
168	332526,1	4593279	496	319422,4	4599973	824	318493,7	4595421	1152	335393,6	4598179
169	330799,5	4592169	497	319260,8	4599941	825	318673,3	4595500	1153	335403,1	4598031
170	330659,8	4592307	498	319075,9	4599866	826	318839,6	4595480	1154	335231,7	4597972
171	330575,9	4592486	499	318895,4	4599783	827	319022,9	4595461	1155	335180,9	4597796
172	330467,3	4592616	500	318755,4	4599689	828	319163	4595326	1156	335187,6	4597602
173	330311,8	4592616	501	318733,3	4599460	829	320761,3	4594759	1157	335218,3	4597407
174	330388,8	4592791	502	318768,5	4599395	830	320754,1	4594954	1158	335200,1	4597223
175	330262,3	4592897	503	318970,6	4599355	831	320746,7	4595153	1159	335072,6	4597143
176	330091,2	4592798	504	320704,8	4594737	832	320860,3	4595282	1160	334914,4	4597060
177	329923,9	4592693	505	320496,3	4594582	833	320809,4	4595455	1161	334788,1	4596905
178	329741,1	4592612	506	320500,9	4594421	834	320751,9	4595583	1162	334606,8	4596836
179	329558,3	4592585	507	320282,1	4594241	835	320844,6	4595514	1163	334454	4596844
180	329382,3	4592512	508	320391	4594083	836	320992,3	4595519	1164	334469,2	4596674
181	329282,2	4592656	509	320614,5	4594084	837	321025,7	4595423	1165	334295,8	4596629
182	329334,8	4592845	510	320684,3	4594346	838	320949,2	4595242	1166	319450,6	4599943
183	329090,1	4592737	511	320702,3	4594467	839	320863,1	4595066	1167	319487,8	4599768
184	328933,2	4592619	512	320782,3	4594854	840	320786,7	4594883	1168	319308,9	4599727
185	328626,3	4592372	513	320854,8	4595037	841	336718,9	4595418	1169	319231,8	4599658
186	329722,5	4591607	514	320941,3	4595214	842	336737,6	4595219	1170	319344,2	4599569
187	329629	4591513	515	321004,9	4595402	843	336856,8	4595076	1171	319125	4599583
188	329703,3	4591408	516	321018,7	4595525	844	337008,1	4595137	1172	318993,4	4599449
189	329803,9	4591211	517	320870,8	4595524	845	337164,8	4595252	1173	318983,9	4599378
190	329928,6	4591223	518	320890,6	4595580	846	337294	4595375	1174	319173,9	4599317
191	330021,4	4591233	519	320788,2	4595476	847	337347,2	4595456	1175	319356,4	4599254
192	329932,5	4591368	520	320860,9	4595311	848	337423,7	4595281	1176	319544,4	4599191
193	329832,2	4591540	521	320748,9	4595182	849	337328	4595128	1177	319729,6	4599179

194	330008,9	4591616	522	320753,6	4594984	850	337151,8	4595108	1178	319916,9	4599131
195	330077,9	4591477	523	320758,3	4594789	851	337067,1	4594941	1179	320061,1	4599080
196	330205,6	4591484	524	319174,1	4595301	852	336953,3	4595013	1180	319920,8	4599040
197	330352,8	4591612	525	319049,8	4595449	853	336825,7	4594921	1181	319732,9	4599101
198	330518,9	4591674	526	318866,5	4595468	854	336694,9	4594909	1182	319580,2	4599117
199	330562,1	4591503	527	318755,7	4595545	855	336551,2	4594813	1183	319397,7	4599141
200	330519,9	4591308	528	318517	4595439	856	336459,4	4594881	1184	319232,7	4599200
201	330338,8	4591260	529	318410,3	4595380	857	336493,1	4594702	1185	319053,1	4599254
202	330375,1	4591190	530	318269,9	4595272	858	336539,1	4594513	1186	318901,3	4599355
203	330501,7	4591227	531	318399	4595164	859	336571,2	4594317	1187	318712	4599434
204	330338,8	4591113	532	318587,9	4595156	860	336450,6	4594301	1188	318658	4599579
205	330500,1	4591030	533	318587,7	4595090	861	336458,5	4594452	1189	318779,9	4599740
206	330654,3	4591118	534	318532	4594995	862	336351	4594544	1190	318945,6	4599815
207	330827,8	4591064	535	318686,4	4595090	863	336324,2	4594722	1191	319128,5	4599894
208	330701,1	4590989	536	318732,1	4594989	864	336159,5	4594804	1192	319318,2	4599957
209	330797,3	4590888	537	318792,8	4594924	865	336238,1	4594633	1193	316714,6	4596578
210	330668,6	4590831	538	318938,3	4594999	866	336310,9	4594451	1194	316686,8	4596373
211	330764,6	4590734	539	318949,9	4595102	867	336289,4	4594267	1195	318771,4	4595078
212	330951,3	4590804	540	319095,4	4595118	868	336145,2	4594224	1196	318772,2	4595020
213	331036,4	4590783	541	319009,2	4594872	869	336087,7	4594414	1197	318977,2	4594764
214	330885,8	4590666	542	318902,8	4594720	870	336067,5	4594570	1198	319526,6	4594957
215	330727,2	4590649	543	318995,6	4594665	871	335965,8	4594727	1199	319559,5	4594627
216	330815,4	4590517	544	319153,2	4594589	872	336005,1	4594911	1200	319617	4594863
217	330660,6	4590422	545	318997,6	4594426	873	335994,8	4595073	1201	321070	4595459
218	330717,8	4590270	546	318993,4	4594314	874	336170,6	4595042	1202	321066,8	4595506
219	330890	4590177	547	319200,5	4594377	875	336218,7	4595084	1203	320937,2	4595547
220	330804,2	4590018	548	319317,5	4594431	876	336245,1	4595203	1204	320907,5	4595510
221	330892,1	4589984	549	319444,4	4594581	877	336360,8	4595345	1205	320829,7	4595541
222	330797,7	4589906	550	318947,7	4594359	878	336463,6	4595421	1206	320757,5	4595517
223	330868,7	4589824	551	319779,6	4594790	879	336547,8	4595576	1207	320844,8	4595251
224	330969,8	4589684	552	319735,1	4594848	880	336703,1	4595698	1208	320806,7	4595208

225	331100	4589577	553	319576,8	4594891	881	336709	4595555	1209	320845,9	4595330
226	331022,6	4589411	554	319609,8	4595020	882	336586,4	4595836	1210	320827,1	4595395
227	331061,7	4589231	555	319703,8	4595194	883	336497	4595664	1211	320931,9	4595180
228	331162,5	4589130	556	319538,9	4595239	884	336498,7	4595764	1212	320972,1	4595553
229	331335,1	4589091	557	319340	4595234	885	336590,9	4595934	1213	320996,1	4595393
230	331426,8	4588992	558	333656,8	4587734	886	334278,6	4596430	1214	319135,8	4599592
231	331514,7	4588903	559	333732,8	4587550	887	334405,3	4596277	1215	318825,5	4599726
232	331670	4588934	560	333836,4	4587390	888	334570	4596227	1216	319250,9	4599602
233	331780,9	4589079	561	333966,2	4587341	889	334666,4	4596300	1217	319295,6	4599776
234	331917,8	4588952	562	334088,6	4587184	890	334787,5	4596221	1218	319445,9	4599753
235	332071,3	4588826	563	334153,1	4587026	891	334922,8	4596324	1219	319419,4	4599243
236	332168,8	4588719	564	334074,4	4586850	892	335004,5	4596365	1220	319430,7	4599993
237	332304	4588602	565	333961,5	4586923	893	335174,5	4596262	1221	319499,8	4599779
238	332449	4588677	566	333786,3	4587015	894	335315,1	4596173	1222	328949	4596480
239	332628,5	4588707	567	333602,5	4587031	895	335351	4596362	1223	328953,6	4596041
240	332528	4588579	568	333716,6	4587187	896	335338,2	4596487	1224	329208,5	4595903
241	332459,2	4588410	569	333724,3	4587380	897	335465,3	4596334	1225	329473,9	4596183
242	332610,2	4588479	570	333688,5	4587560	898	335586,9	4596353	1226	329936,4	4596392
243	332542,1	4588299	571	333568,9	4587693	899	335492	4596524	1227	330144,2	4595935
244	332705,9	4588330	572	333475,5	4587586	900	335590,9	4596439	1228	330195,9	4595974
245	332719,2	4588277	573	333519,9	4587411	901	335702,6	4596276	1229	330621,9	4596202
246	332669,8	4588127	574	333584,2	4587332	902	335708,6	4596122	1230	330490,8	4596654
247	332849,5	4588080	575	333386	4587316	903	335671,3	4595999	1231	330328,6	4596797
248	332920,8	4587903	576	333273,3	4587382	904	335487,9	4595934	1232	330356,2	4596319
249	333002,7	4587830	577	333289,4	4587578	905	335303	4595872	1233	330553,4	4596163
250	333209,7	4587867	578	333377,8	4587748	906	335228	4596016	1234	330504,2	4596241
251	333273,7	4588109	579	333525,3	4587870	907	335122,9	4596057	1235	330213,9	4596647
252	333271,9	4588187	580	330311,6	4592582	908	334978,4	4596016	1236	330167	4596641
253	333153,1	4588287	581	330535,7	4592584	909	334826,7	4595942	1237	329828,7	4591206
254	333039,6	4588445	582	330625	4592358	910	334831	4595805	1238	330047,8	4591264
255	332949,4	4588587	583	330709,7	4592231	911	334697,3	4595660	1239	330053,7	4591618

256	332816,7	4588723	584	330811,2	4592161	912	334655,7	4595557	1240	330165,6	4591444
257	332686,9	4588846	585	330919,5	4591999	913	334637,8	4595380	1241	330126,4	4591511
258	332652,8	4589035	586	331015,5	4591824	914	334460,2	4595399	1242	330929,5	4589893
259	332531,7	4589194	587	331094,7	4591642	915	334449,7	4595228	1243	332462,5	4589268
260	332378,1	4589263	588	331169,9	4591484	916	334353,1	4595200	1244	332696,2	4588914
261	332263,4	4589425	589	331128,3	4591337	917	334204	4595264	1245	332403,2	4588648
262	332146,5	4589587	590	331153,2	4591145	918	334151,5	4595082	1246	332214,1	4588676
263	332034,4	4589747	591	331075,9	4591008	919	334158	4594882	1247	332458,7	4588508
264	331875,1	4589857	592	331255,7	4591003	920	334116,7	4594762	1248	332651,9	4588672
265	331707,6	4589877	593	331111	4590863	921	334141,3	4594565	1249	332464,8	4588393
266	331724,1	4590070	594	331277,9	4590930	922	334098,2	4594431	1250	332799,9	4588343
267	331594,1	4590212	595	331279,6	4590808	923	333980,1	4594591	1251	332632,9	4588209
268	331450,8	4590349	596	331172,3	4590690	924	333885,8	4594767	1252	332744	4588075
269	331302,4	4590464	597	331100,3	4590508	925	333731	4594838	1253	332949,4	4587867
270	331106,6	4590412	598	331252,3	4590391	926	333533,1	4594818	1254	333325,9	4587952
271	331172	4590568	599	331330	4590460	927	333432,5	4594909	1255	332974	4594037
272	331176,9	4590777	600	331468,5	4590328	928	333463,9	4595102	1256	334435,7	4595152
273	331319,4	4590859	601	331617,5	4590197	929	333451,3	4595300	1257	334894,4	4595953
274	331208,8	4590901	602	331725,3	4590042	930	333391,6	4595479	1258	333308,2	4595778
275	331109,6	4590951	603	331734,7	4589877	931	333253,3	4595529	1259	335750	4598851
276	331243,7	4591028	604	331902,3	4589851	932	333240,2	4595643	1260	335963,3	4594853
277	331066,5	4591030	605	332057,8	4589734	933	333351,8	4595758	1261	336016,2	4594596
278	331155,5	4591173	606	332162,5	4589564	934	333405,7	4595586	1262	336062,2	4594495
279	331124,5	4591364	607	332279,1	4589402	935	333534,9	4595685	1263	336166,8	4594198
280	331189,6	4591504	608	332402,7	4589251	936	333696,4	4595627	1264	336561,8	4594274
281	334018,6	4587272	609	332546,2	4589170	937	333889,8	4595586	1265	336513,3	4594790
282	333878,8	4587372	610	332668,7	4589012	938	334040,4	4595496	1266	336954,5	4595058
283	333795,5	4587494	611	332683	4588818	939	334127,8	4595605	1267	336855,5	4595005
284	333688,2	4587653	612	332841,1	4588709	940	334295,9	4595704	1268	337373,4	4595139
285	333594,5	4587829	613	332955,5	4588560	941	334196,5	4595849	1269	337336,9	4595859

286	333425,2	4587817	614	333054,8	4588421	942	334029,3	4595949	1270	337151,7	4596188
287	333317,5	4587649	615	333144,3	4588223	943	333846,2	4596029	1271	337125,6	4596694
288	333267,7	4587466	616	333285,1	4588151	944	333681,7	4596113	1272	337116,3	4597081
289	333304,2	4587298	617	333323,3	4587980	945	333716,9	4596295	1273	336129,9	4597426
290	333500,6	4587324	618	333097,1	4587859	946	333797,3	4596450	1274	336322	4596664
291	333598	4587382	619	333003,3	4587869	947	333949,7	4596538	1275	336461,7	4596397
292	333500	4587509	620	332991	4587900	948	334145,7	4596568	1276	336673,4	4596278
293	333531,3	4587665	621	332824,2	4588076	949	329973,6	4596281	1277	336698,6	4596277
294	333634,5	4587608	622	332654,9	4588151	950	330012,8	4596100	1278	336619,8	4596311
295	333718	4587458	623	332740,7	4588294	951	330175,9	4595994	1279	336711,8	4596352
296	333716,1	4587269	624	332678,3	4588328	952	330071,7	4596004	1280	336754,7	4596134
297	333638,9	4587105	625	332546,2	4588326	953	329923,4	4596033	1281	336716,9	4596120
298	333703,5	4587024	626	332584,5	4588469	954	329833,5	4596102	1282	336080,6	4597119
299	333893,5	4586971	627	332450,8	4588437	955	329705,6	4596182	1283	336017,5	4596946
300	334025,8	4586828	628	332549,7	4588597	956	329522,1	4596237	1284	335541,7	4596553
301	334131,6	4586951	629	332607,4	4588706	957	329345	4596089	1285	335643,6	4596058
302	334128	4587133	630	332423,5	4588688	958	329277,6	4595983	1286	335657,4	4596113
303	317624,2	4595574	631	332276,2	4588602	959	329115,2	4595915	1287	335342,8	4596225
304	317558,4	4595704	632	332149,5	4588738	960	328928,8	4595966	1288	334938,2	4596425
305	317660,1	4595621	633	332048,3	4588841	961	329061,2	4596067	1289	334920,2	4596395
306	317803,7	4595559	634	331895,9	4588969	962	329046,9	4596190	1290	334582,1	4596325
307	317924	4595534	635	331756,1	4589068	963	328927,9	4596334	1291	334184,1	4596594
308	318016,8	4595431	636	331646	4588937	964	328874,7	4596416	1292	334494,8	4596201
309	317688,3	4595553	637	331488,5	4588912	965	328805	4596480	1293	334909,6	4596259
310	318247,6	4595691	638	331421	4589017	966	328574,2	4596476	1294	334875,5	4595921
311	318462,2	4595901	639	331318,1	4589113	967	328652,7	4596613	1295	334813,1	4595871
312	318504,4	4595990	640	331136,7	4589120	968	328936,3	4596573	1296	334865,8	4595822
313	318539,8	4596179	641	331042,9	4589247	969	329037,7	4596594	1297	334682,7	4595425
314	318439,6	4596042	642	331040,9	4589431	970	329210,5	4596474	1298	334273,7	4595208
315	318312,7	4595898	643	331073,5	4589585	971	329468,1	4596499	1299	334152,1	4595164
316	318194,7	4595730	644	330948,6	4589700	972	329766,7	4596379	1300	336437,9	4595665

317	318097,7	4595871	645	330864,8	4589852	973	329788,2	4596404	1301	336473,6	4595643
318	318202	4596138	646	330817,4	4589952	974	329595,9	4596623	1302	336600,3	4595996
319	318210,6	4596120	647	330887,8	4590011	975	329750,3	4596793	1303	336775,1	4595954
320	318252,3	4596200	648	330823,4	4590119	976	329823,2	4596527	1304	336829,3	4596084
321	318194,7	4596307	649	330778,9	4590183	977	329927,2	4596482	1305	337065,5	4596007
322	318210,1	4596501	650	330696,9	4590368	978	330471,2	4596653	1306	336850,9	4595815
323	318250,7	4596605	651	330784,3	4590454	979	330468,6	4596488	1307	337035	4595482
324	318083,6	4596672	652	330825,2	4590543	980	330525	4596316	1308	336968,1	4594931
325	317953,4	4596573	653	330734,7	4590675	981	330575,8	4596188	1309	337247,4	4595109
326	317752,4	4596499	654	330909,6	4590667	982	330448,9	4596271			
327	317570	4596529	655	331055,2	4590803	983	330319,5	4596390			
328	317391	4596402	656	330925,4	4590794	984	330195,6	4596545			

2. ერუშეთის ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიებისა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგისა;

გ) ბიოტექნიკური ღონისძიებებისა (სამარილეების, საკვებურების მოწყობა და სხვა);

დ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

მუხლი 7. ერუშეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი, საზღვრები და დაშვებული საქმიანობები

1. ერუშეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი შეადგენს 9 527 ჰა-ს და მოიცავს ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დროებითი რეგულირების წესის მე-6 მუხლით.

2. ერუშეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მათ ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვისა, მოვლისა და აღდგენისა;

გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაცვისა და მონიტორინგისა; დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

ვ) ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დროებითი რეგულირების წესით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს ტურისტების გადაადგილებისა გამყოლის/გიდის თანხლებით, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ზ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა;

თ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელებისა;

ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილებისა;

კ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 $м^3$-მდე საშეშე მერქანი), თიბვისა/ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა;

მ) „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 2^1 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისა;

ნ) საფუტკრეების მოწყობისა;

ო) ტრადიციულ საზაფხულო საძოვრებზე მწყემსებისა და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობისა;

პ) გადასარეკი ტრასების მოწყობისა მცირე ინფრასტრუქტურით (დასარწყულებელი, დასასვენებელი) და სხვა;

ჟ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისა;

რ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მისით სარგებლობისა, მათ შორის:

რ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობისა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.დ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.ე) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.ზ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.თ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

რ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „რ.ა“ – „რ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;

ს) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ტ) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 3^1 პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

უ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

3. ერუშეთის ეროვნული პარკის საზღვრებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ერუშეთის ეროვნული პარკის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით, დაშვებულია სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ობიექტების განთავსება. აღნიშნულ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ტურისტული საქმიანობა, მეცნიერული კვლევა-ძიება, მშენებლობა, ობიექტების მომსახურება და ნებისმიერი სხვა საქმიანობა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესაბამისად.

დანართი 25

ტექნიკური რეგლამენტი – პონტოს მუხის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

„პონტოს მუხის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესი“ (შემდგომში – დროებითი რეგულირების წესი) წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტს, რომლის მოქმედების

ვადა განისაზღვრება პონტოს მუხის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცებამდე და წარმოადგენს პონტოს მუხის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობით განსაზღვრულ და სამენეჯმენტო ქმედებების სახელმძღვანელო დოკუმენტს.

მუხლი 2. დროებითი რეგულირების წესის რეგულირების სფერო

დროებითი რეგულირების წესი არეგულირებს პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების საკითხებს.

მუხლი 3. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი მიზნებია:

ა) პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის, მასზე არსებული ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, პონტოს მუხის (Quercus pontica C. Koch.) ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობის განვითარების საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება;

ბ) პონტოს მუხის აღკვეთილის განსაზღვრული რეჟიმის ფარგლებში ეკოტურიზმის, ეკოლოგიური განათლების, პონტოს მუხის აღკვეთილის ინტერესებიდან გამომდინარე სამეცნიერო საქმიანობისა და რეკრეაციის სფეროში შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობა.

2. დროებითი რეგულირების წესის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი და სახეშეცვლილი უბნების დაცვასა და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოს პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიებზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა და მცენარეთა გენოფონდის დაცვა, მოვლა, აღდგენა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

დ) პონტოს მუხის აღკვეთილის ფარგლებში უზრუნველყოს მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსა და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლა, დაცვა, აღდგენა, ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

ე) უზრუნველყოს პონტოს მუხის აღკვეთილში საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, რელიქტური და ენდემური სახეობების დაცვა, აღდგენა და შესწავლა.

მუხლი 4. პონტოს მუხის აღკვეთილის მდებარეობა და საერთო ფართობი

1. პონტოს მუხის აღკვეთილი მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორია მოიცავს „პონტოს მუხის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიას, საერთო ფართობით 443 ჰა.

მუხლი 5. პონტოს მუხის აღკვეთილში დაშვებული საქმიანობა

1. პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიაზე, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკრძალულია ყველა საქმიანობა, გარდა:

ა) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვისა, მოვლისა და აღდგენისა;

ბ) სამეცნიერო კვლევისა;

გ) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

დ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მიზნით შეზღუდული რაოდენობის საჰერბარიუმო მასალის შეგროვებისა;

ე) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მისით სარგებლობისა, მათ შორის:

ე.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობისა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.დ) კაფეტერიის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.ე) საკონფერენციოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.ზ) საჯინიბოს მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.თ) სველი წერტილების მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

ე.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობისა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) (შენიშვნის გათვალისწინებით);

შენიშვნა: „ე.ა“ – „ე.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;

ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით: მუდმივი და დროებითი სანერგეების მოწყობისა, პონტოს მუხის თესლის შეგროვებისა და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებისა;

ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების

დროს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო, მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;

თ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოებისა და მონიტორინგის განხორციელებისათვის მუდმივი სანიმუშო ფართობების მოწყობისა და ფოტოხაფანგების განთავსებისა;

ი) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა;

კ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილებისა;

ლ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა;

მ) გზების მოვლისა და ბილიკების მოვლისა და მოწყობისა;

ნ) მკაცრი კონტროლის პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წყლის რესურსებით სარგებლობისა;

ო) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისა, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების 89-ე მუხლით განსაზღვრული სოციალური დანიშნულების ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობისა (არსებული რესურსის გათვალისწინებით, გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 5 $м^3$-მდე საშეშე მერქანი), ძოვებისა (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საფუტკრეების მოწყობისა, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;

პ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობისა;

ჟ) განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მკაცრი კონტროლის პირობებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს პონტოს მუხის აღკვეთილის ძირითადი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი ხელისშემწყობი პირობები. სოციალური დანიშნულების ჭრის ჩატარებისას უპირატესად უნდა გაიცეს მოთხრილ-მოტეხილი, დაავადებული და ზეხმელი ხეები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**